საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გელოვანი ვიქტორ არჩილის ძე

ვ. გელოვანი

გელოვანი ვიქტორ არჩილის ძე (დ. 8. X. 1944, ქ. ნიკოლაევი, უკრაინა), მეცნიერი ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის დარგში. რუსეთის მეცნ. აკად. წ.-კორ. (1987). ტექ. მეცნ. დოქტორი (1980), პროფესორი (1985). მოღვაწეობს მოსკოვში.

1967 დაამთავრა მოსკ. ფიზიკა-ტექ. ინ-ტი. 1967 – 74 მუშაობდა სსრკ მეცნ. აკად. გამოყენებით მათ. ინ-ტში, 1974-იდან – მართვის პრობლემების ინ-ტში (მოსკოვი). 1975-იდან სისტემურ კვლევათა ინ-ტის განყ-ბის გამგეა. გ-ის შრომები ეხება საფრენი აპარატების მართვის, გლობალური სამანქანო მოდელირების, ექსპერტული სისტემებისა და ხელოვნური ინტელექტის შექმნის საკითხებს. მის მიერ შემუშავებული სისტემური იმიტაციური მოდელირება|იმიტაციური მოდელირების კონცეფცია ითვალისწინებს ექსპერტების ცოდნის შინაარსობრივი მხარისა და რაოდენობრივი მოდელების შერწყმას ერთიან ადამიან-მანქანურ სისტემებში.

თხზ.: Человеко-машинная система моделирования процессов глобального развития, М., 1980.